# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 14

ქ.ონი 01.04.2013წ

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორის საჯარო სკოლა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული დირექტორის რუსუდან მეტრეველს სახით, რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და შ.პ.ს "სალუ+" შემდგომში "მიმწოდებელი" მისი წარმომადგენელის მანანა ლობჟანიძის სახით მეორეს მხრივ დადეს ეს ხელშეკრულება და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სკოლისათვის საოფისე საქონლის და სპორტული ინვენტარის შესყიდვა. (CPV-37400000, CPV-44800000, CPV-39200000, CPV-39500000, CPV-39700000, CPV-44500000, CPV-44300000). მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს მოთხოვნის შესაბამისად შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაციის თანდართვით (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, ელ.სასაქონლო ზედნადები და სხვა) მიაწოდოს საქონელი ქვეყანაში დაფიქსირებული საშუალო საბაზისო ფასების ფარგლებში.

1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ საქონელზე ფასის გადახდა მოხდება საქონლის მიწოდების შემდეგ.

1.3 ანგარიშსწორების ფორმა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 მომწოდებელი ვალდებულებას იღებს:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი ხარისხის და სტანდარტის საქონელი

ბ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული ზარალი.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 დადებული ხელშეკრულებით საქონლის ღირებულება შეადგენს [illegible] ----------------- ლარს .

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2 როცა ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელია ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე ყოველი მხარე პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემდეგ:

## 5. ხელშეკრულების ბათილობა

5.1 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება მოიშალოს;

ა) მიმწოდებლის ინიციატივით შემსყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას

ბ) შემსყიდველის ინიციატივით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით

დ) ფორსმაჟორული სიტუაციის დროს

5.2 ხელშეკრულება ბათილია ვადის გასვლის შემდეგ.

## 6. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით (რაც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით) შეუთანხმებლობის შემთხვევაში ორივე მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 01 აპრილიდან, 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

| | |
|---|---|
| მიმწოდებელი | შემსყიდველი |
| შ.პ.ს "სალუ+" | სორის საჯარო სკოლა |
| წარმომადგენელი /მ. ლობჯანიძე/ | დირექტორი: /რ.მეტრეველი/ |
| საიდ.კოდი 205261517 | საიდ.კოდი 237981172 |
| ა/ნ GE12PCO189600100023412 | ა/ნ GE30LBO120133032315000 |
| პროკრედიტბანკის ცენტრალური ფილიალი | ს/ს "ლიბერთი ბანკი" 220101449 |